შესწავლილი იქნა ასევე ჩვენს მიერ მოწოდებული სუპოზიტორიების შენახვის პროცესში პროტეოლოზური აქტივობის სტაბილურობა, რომელმაც დაადასტურა ფერმენტისა და კაკოს ცხიმის შეთავსებადობა და აქტივობის განსაზღვრის მეთოდის სიზუსტე. სუპოზიტორიები ინახებოდა ბუნებრივ (+20°C) და მაცივრის (+4°C) პირობებში. ცხრილიდან ჩანს, რომ 6 თვის განმავლობაში (დაკვირვების დრო) სუპოზიტორიები ინარჩუნებენ სტაბილურობას და აქტივობის კლებას ადგილი არა აქვს მაცივრის პირობებში შენახვისას, ხოლო ბუნებრივ პირობებში ვარგისიანობის ვადაა 3 თვე.

**ლიტერატურა**

1. Zoch E. *Arzneimittel*, Forsch. 1969, 19, 1593-1507.
2. Howard J.B., Glazer A. N. *J. Biol. Chem.* 1960, 244, 6, 1300-1409.
3. Mayer K., Hahnei E., Steinberg A. *J. Biol. Chem.*, 1964, 163, 2, 733-740.
4. Polgar L. *Biochem. Biophys. Acta.* 1981, 658, 2, 262-265.
5. Schak P. *Comp. rend. Trav. Lab. Carlaberg.*, 1967, 36, 4, 67-83.

6. Love G. Tetrahedron, 1976, 32, 3, 291-302.
7. Симпозиум «Применение протеолитических энзимов растения *Carica Papaya* (лекозим, лекоциин) в широкой медицинской практике», Москва, 1978.
8. American drug index, 1979, 465.
9. გ. ერქომაიშვილი, დ. ჭანტურია, ლ. ვადაჭკორია, ლ. ნადირაშვილი. ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული გამოცემა თბილისი 2009, 1(17), 115.
10. ჭანტურია დ. გ. ფერმენტული. პრეპარატი “კარიპაზიმი” – მიღება, დახასიათება და კვლევა. დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1989წ.
11. სახელმწიფო ფარმაცოქია თბილისი, 2003, 2, 13, 18.
12. Каверзнева Е.Д. Прикладная биохимия и микробиология, 1971, 7, 2, 225-228.
13. Г.С.Еркоманшвили, Л.В.Вадачкория, Л.А.Надирашвили, Д.Г.Чантурия. Georgia Chemical Journal, 2004, 4(3), 265-269.

## რეზიუმე

**კვლევები კომერციული პაპაინისაგან დამზადებული სუპოზიტორიების პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდის შესამუშავებლად**  
*მ. ორჯონიკიძე, დ. ჭანტურია, ლ. ნადირაშვილი*

მოდირებული და აპრობირებულია პაპაინის პროტეაზების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი კომერციული პაპაინისაგან მიღებულ სუპოზიტორიებში. შემუშავებულია ფერმენტული ცილის განსაზღვრის მეთოდი. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ კაკოს ცხიმი გავლენას არ ახდენს ფერმენტული ცილის განსაზღვრის მეთოდზე და ინდიფერენტულია პროტეოლიზური აქტივობის მიმართ. პაპაინის პროტეოლიზური აქტივობა სტაბილურია 6 თვის განმავლობაში +4°C ტემპერატურაზე შენახვისას.

## SUMMARY

**ELABORATION OF THE ASSAY FOR THE DETERMINATION OF PROTEOLYTIC ACTIVITY OF SUPPOSITORIES MADE FROM COMMERCIAL PAPAIN**  
*M. Orjonikidze, D. Chanturia, L. Nadirashvili.*

The assay for the determination of proteolytic activity of complex of papaya proteases in suppositories made from commercial papain was modified and tested. The method of determination of enzymatic proteins was developed. It was established experimentally that Cocoa butter does not affect the proteolytic activity. The latter of commercial papain remains stable during 6 months when saved at +4°C.

## РЕЗЮМЕ

**ИССЛЕДОВАНИЯ ПО РАЗРАБОТКЕ МЕТОДИКИ ОПРЕДЕЛЕНИЯ ПРОТЕОЛИТИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ СУППОЗИТОРИЕВ С ПАПАИНОМ**  
*М.Орджоникидзе, Д. Чантурия, Л. Надирашвили*

Модифицирован и апробирован метод определения протеолитической активности коммерческого папаина в суппозиториях. Разработан метод количественного определения ферментного белка КПП в суппозиториях. Экспериментально установлено, что масло какао индифферентно к протеолитической активности и не оказывает влияния на метод определения ферментного белка. Протеолитическая активность коммерческого папаина в суппозиториях остается стабильной в течении 6 месяцев (срок наблюдения) при температуре хранения +4°C.

# მოსაზრებები პაპაიას ფერმენტების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის ერთეულებისა და ბანსაზღვრის მეთოდების შესახებ

## გ. ერქომაიშვილი

პაპაინი, ტროპიკული მცენარის პაპაიას - *Carica papaya* უმწიფარი ნაყოფების გამშრალი რძეწვენი, პირველი ფერმენტული პრეპარატი იყო, რომელიც მოხვდა მეცნიერთა, სახელდობრ - ვიურცისა და მისი თანამშრომლის ყურადღების არეში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში და სწორედ ვიურცმა უწოდა მას "პაპაინი" [1]. იმის გამო, რომ ეს პრეპარატი აღმოჩნდა მაღალი პროტეოლიზური აქტივობის მქონე და, რაც მთავარია, ადვილად მისაღები და იაფი, მან ადრევე ჰპოვა ძალზე დიდი გამოყენება მსუბუქ და კვების მრეწველობაში და, აგრეთვე, მედიცინაში [2-6].

XX საუკუნეში პაპაინი ინტენსიურად შეისწავლებოდა. აღმოჩნდა, რომ ის წარმოადგენს სულფჰიდრილური ბუნების მძლავრი პროტეაზებისა და ე.წ. პაპაიას ლიზოციმის კომპლექსს. ამ კომპლექსში აღმოჩენილია მინორული რაოდენობით სხვა სპეციფიურობის მქონე ფერმენტებიც. კომპლექსში შემავალ ერთ-ერთ პროტეაზას, რომელიც ყველაზე ადრე იქნა გამოყოფილი და დეტალურად შესწავლილი [7, 8, 9] ეწოდა "პაპაინი" (ფ.კ. 3. 4. 22. 2), რაც ხშირად ქმნის გაუგებრობებს. ამიტომ, მართებული იქნება, თუ კომპლექსს ვუწოდებთ "პაპაიას ფერმენტების კომპლექსს" (პფკ), (ან "კომერციულ პაპაინს", ან "პაპაიას უმწიფარი ნაყოფების გამშრალ რძეწვენს"). ფერმენტების ეს კომპლექსი სადღეისოდ უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, თუმცა - არა ამომწურავად [10].

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული პაპაინი (პფკ) ფართოდ, დიდი მასშტაბებით გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების მრეწველობაში და მედიცინაში, საბჭოთა კავშირში ის პრაქტიკულად უცნობი იყო, რადგან არ მოიპოვებოდა მისი მიღების ადგილობრივი წყაროები. პირველი რეალური ინტერესი ამ ფერმენტული პრეპარატის მიმართ გაჩნდა მაშინ, როცა სსრკ-ში წამოწყებულ იქნა აქტუალური ორთოპედიული დაავადების (ხერხემლის ოსტიოქონდროზის) მკურნალობის წარმატებული ცდები პაპაიას ფერმენტების კომპლექსის (პფკ)-ს მეშვეობით. ამ წარმატებული ცდების შედეგებზე დაყრდნობით იუგოსლავიურმა ფირმამ LEK-მა შექმნა ამ ფერმენტების შემცველი საინექციო პრეპარატი "ლეკოზიმი" [11]. პარალელურად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის გაგრის საყრდენ პუნქტში გ. როსინსკიმ შეიმუშავა *Carica papaya*-ს აგროტექნიკა ორანჟერიის პირობებში [12], რომელიც, შემდგომ, გასული საუკუნის 80-იან წლებში სამრეწველო მასშტაბებით ათვისებული იყო ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეის სასათბურე მეურნეობაში. ეს მეურნეობა აწარმოებდა 100 კილოგრამამდე კომერციულ პაპაინს წელიწადში.

გაგრის საყრდენ პუნქტში და ოხურეის სასათბურე მეურნეობაში გამომუშავებული პაპაიას გამშრალი რძეწვენი შეისწავლებოდა იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამკურნალწამლო ფერმენტოლოგიის ლაბორატორიაში. დადასტურდა საქართველოში მიღებული ფერმენტული პროდუქტის პრაქტიკული იდენტურობა ტროპიკულ ქვეყნებში ნაწარმოებ კომერციულ პაპაინთან. სამკურნალწამლო ფერმენტოლოგიის ლაბორატორიაში

შეიქმნა რამდენიმე სამკურნალო პრეპარატი: საინექციო საშუალება “პაპაზიმი” – ლეკოზიმის ანალოგი, “კარიპაზიმი” და მალამო “კარიპანი” – დამწვრობითი და ჩირქოვანი იარების სამკურნალოდ [13], სუპოზიტორიები ჰიდროფილურ ფუძეზე რექტალური და ვაგინალური ანთებების სამკურნალოდ და სხვ. კარიპაზიმს 1987 წლიდან დღემდე აწარმოებს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზა.

პაპაიას ფერმენტების კომპლექსის შესწავლის სამუშაოების დაწყებისთანავე, წამოიჭრა ყველაზე აქტუალური საკითხი – პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრისა. სსრკ-ში უნდა გვეხელმძღვანელა სსრკ-ს სტანდარტით ГОСТ 2 02 64.2-74, Метод определения протеолитической активности. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამკურნალწამლო ფერმენტოლოგიის ლაბორატორიაში შემუშავდა პაპაიას ფერმენტების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი [14], რომელიც, ერთის მხრივ, ეყრდნობა ზემოთ მოყვანილ სტანდარტს, მაგრამ, ამასთან, გარკვეულწილად კავშირშია აშშ-ში მიღებულ მეთოდთან.

ფერმენტული აქტივობის განსაზღვრის მეთოდის შემუშავებისას უპირველესი ამოცანაა აქტივობის ერთეულის დადგენა. ბიოქიმიის საერთაშორისო კავშირის (I.U.B) მიერ მოწოდებულ იქნა რეკომენდაცია: “ნებისმიერი ენზიმის ერთეული (U) შეიძლება განისაზღვროს როგორც ფერმენტის ისეთი რაოდენობა, რომელიც აკატალიზებს 1 მიკრომოლი სუბსტრატის გარდაქმნას 1 წუთში, ანდა, თუ სუბსტრატის ყოველი მოლეკულის ერთზე მეტი ბმა ექვემდებარება გარდაქმნას, - გარდაქმნილი ჯგუფების 1 მიკროექვივალენტი 1 წუთში პროცესის მიღებულ პირობებში მიმდინარეობისას [15].”

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განსაზღვრებაში დაშვებულია არსებითი უზუსტობა: ერთეულად მიიჩნევა ფერმენტის რაოდენობა, რაც იზომება ან ფერმენტის მოლეკლის რიცხვით, ან მასით, ხოლო შემდეგ ლაპარაკია გარდაქმნილი სუბსტრატის რაოდენობაზე. ენზიმური ერთეულების ამგვარი განმარტება გადავიდა პროფ. ე. დ. კავერზნევას სარეკომენდაციო სტატიაში (Стандартный метод определения протеолитической активности для комплексных препаратов протеаз) [16], ზემოთნახსენებ, 1974 წლის ГОСТ-ში და ზოგიერთ სახელმძღვანელოშიც კი [17]. ეს შეცდომა გასწორდა 1988 წლის იმავე ГОСТ-ში: აქ უკვე ფიგურირებს არა ფერმენტის რაოდენობა, არამედ “ფერმენტის შესაძლებლობა”. უფრო სწორი კი იქნებოდა “ფერმენტული მოქმედება”. აშშ-ს ფარმაკოპეიაში (USP-25-NF 20 Supplement 2 Papain) პაპაინის აქტივობის ერთეულად მიჩნეულია “აქტივობა”. დაახლოებით ამგვარი განმარტებაა კომერციული პაპაინის მწარმოებელი ინდური კომპანიის “Chandralok”(Keartiman Group) დოკუმენტაციაში, სადაც პროტეოლიზური აქტივობის ერთეულად მიჩნეულია ფერმენტის “შესაძლებლობა”. ჩვენს მიერ შემუშავებულ კარიპაზიმის აქტივობის განსაზღვრის მეთოდში პროტეოლიზურ ერთეულად მიჩნეულია “ფერმენტის მოქმედება”[14].

სადღეისოდ პაპაიას ფერმენტების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის ერთეულების ორი პრინციპულად განსხვავებული განმარტება არსებობს:

1. პაპაიას ფერმენტების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის ერთეულია ისეთი ფერმენტული მოქმედება (ან მისი ისეთი კატალიზური მოქმედება), რომელიც ცდის მოცემულ პირობებში უზრუნველყოფს სპეციფიციზირებული კაზეინის სუბსტრატიდან



1 მეგრამი (ან მემოლი) ტიროზინის გამოყოფას დროის გარკვეულ ერთეულში (1 წუთში ან I საათში).

2. აქტივობის ერთეულია ისეთი ფერმენტული მოქმედება, რომელიც სპეციფიურ სტანდარტულ პირობებში აჰიდროლიზებს 1 მემოლი N-ბენზოილ-არგინინის ეთილის ესტერს (ბაე-ს) 1 წუთში, ე.წ. FIP-ერთეულები (Federacion Internacional Pharmaceutique), FIPU. ამ სუბსტრატის აჰიდროლიზისას გამოთავისუფლებული კარბოქსილის ჯგუფების რაოდენობა დგინდება მათი ტუტით ტიტრაციით მუდმივი pH-ისას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პროტეოლიზურ, არამედ ესთერაზულ ერთეულებთან, რაც, ჩემი აზრით, ვერ უნდა გამოდგებოდეს პროტეოლიზური აქტივობის შესაფასებლად, განსაკუთრებით – კომპლექსური პრეპარატებისათვის.

ესთერაზული მოქმედება შეიძლება გარკვეულ თანაფარდობაში იყოს პროტეოლიზურთან ცალკეულ ინდივიდუალურ პროტეაზებში, როგორცაა, თუნდაც ინდივიდუალური პაპაინი (ფ.კ. 3. 4. 22. 2), მაგრამ არა კომპლექსურ პრეპარატებში, სადაც ესთერაზული აქტივობა შეიძლება არსებობდეს პროტეოლიზურის გარეშეც. მიუხედავად ამისა, მაინც იძლევიან რეკომენდაციას ესთერაზული ერთეულებისა და აქტივობის განსაზღვრის ამ მეთოდის გამოსაყენებლად კომპლექსური პრეპარატებისათვის [15]. მაგალითად, სამკურნალო პრეპარატ ლეკოზიმის აქტივობა მოცემულია FIP-ერთეულებში (FIP U).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესთერაზული აქტივობის დასადგენი მეთოდი საზღვრავს ბაე-ს აჰიდროლიზისას გამოთავისუფლებული კარბოქსილის ჯგუფების გასატიტრად დახარჯული ტუტის რაოდენობას მუდმივ pH-ისას. იგივე მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას კარგად სტანდარტიზირებულ, კარგად დენატურირებულ ცილოვან სუბსტრატზეც. ამ შემთხვევაში ტუტით იტიტრება პეპტიდური ბმების აჰიდროლიზისას გამოთავისუფლებული კარბოქსილის ჯგუფები, რაც იძლევა საშუალებას ადვილად დადგინდეს გახლეჩილი პეპტიდური ბმების რაოდენობა დროის ერთეულში, ანუ განისაზღვროს ჭეშმარიტი პროტეოლიზური აქტივობა. სამწუხაროდ, ამ ხერხს აქვს ერთი ძალიან დიდი ნაკლი – ვერ ხერხდება ერთგვაროვანი, სტანდარტული ცილოვანი სუბსტრატის მიღება. ყველაზე მოხერხებული ცილოვანი სუბსტრატია კაზეინი, რომლის სტანდარტიზაცია ცალკე დიდი პრობლემაა და ხერხდება მხოლოდ ბაე-თი სტანდარტიზირებული ინდივიდუალური პაპაინის (ფ.კ. 3.4.22.2) მეშვეობით, რაც ძალზე ართულებს განსაზღვრის პროცედურას და საბოლოოდ, მაინც იძლევა შედეგს FIP-ერთეულებში, ანუ ესთერაზულ ერთეულებში.

აშშ-ში ამჟამად მოქმედი მეთოდი პაპაინის ფერმენტების კომპლექსის აქტივობის განსაზღვრისა (USP-25-NF 20 Supplement 2 Papain) შემუშავდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და შემოწმდა რვა ლაბორატორიაში [18] (სამუშაოები ტარდებოდა ფარმაცევტული მწარმოებლების ასოციაციის – PMA-ს ეგიდით). აქტივობის განსაზღვრა სწარმოებს სტანდარტული პაპაინის პრეპარატის პარალელურად, რამაც თითქოს უნდა გამორიცხოს ყველა ხელისშემშლელ ფაქტორთა გავლენა განსაზღვრის შედეგზე, მაგრამ მაშინვე გამოითქვა პრეტენზიები იმის გამო, რომ პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი ვერ იძლევა სანდოდ აღწარმოებად შედეგებს. ამის მიზეზად მიჩნეულ იყო არასაკმარისად სტანდარტიზირებული სუბსტრატები, ხელის შემშლელი მინარევები

გამოყენებულ რეაქტივებში და თვით ენზიმის პრეპარატებში, შეცვლილი გარეგანი პირობები და სხვა [19]. შემდგომში იყო ცდები მეთოდის გაუმჯობესებისა მცირე ცვლილებებით, როგორცაა, მაგალითად, სარეაქციო ხსნარების მოცულობების გაზრდა 5-ჯერ, ქაღალდის ფილტრის გარკვეული ტიპის გამოყენება და სხვა [20].

ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო უნდა იყოს პაპაინის პროტეოლიზური მოქმედების ერთეულის განმარტება აშშ-ს ფარმაკოპეაში: “პაპაინის აქტივობის ერთეული წარმოადგენს აქტივობას, რომელიც ათავისუფლებს 1 მიკროგრამ ტიროზინს სპეციფიციური კაზეინის სუბსტრატისაგან განსაზღვრის პირობებში და ენზიმის ისეთი კონცენტრაციებისას, რომელიც ათავისუფლებს 40 მიკროგრამ ტიროზინს 1 მლ საცდელ ხსნარზე”. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ფრაზა “განსაზღვრის პირობებში” გულისხმობს ცდის ჩატარების ყველა პირობას, მოცემულს განსაზღვრის მეთოდიკაში – ხსნარების კონცენტრაციებს, მოცულობებს, pH-ს, ტემპერატურას და, რაც მეტად მნიშვნელოვანია – ფერმენტული რეაქციის დროს, 1 საათს. ამგვარი ფორმულირებით მოცემულ პროტეოლიზური აქტივობის ერთეულის (USPU-ს) განზომილებაა მიკროგრამი ტიროზინი/საათი.

ინდური ფირმა “Chandralok” თავისი პროდუქციის – კომერციული პაპაინის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრისათვის იყენებს მეთოდს, რომელიც ძალზე ახლოა USP-ს მეთოდთან (ხსნარების კონცენტრაცია, pH, დრო), მაგრამ განსხვავდება იმით, რომ უშუალოდ განსაზღვრის პროცედურაში არ იყენებს სტანდარტულ პრეპარატს და აქტივობის ერთეულებს ანგარიშობს 1 წუთზე (აქტივობის ერთეულის განზომილებაა მიკროგრამი ტიროზინი/წუთი და აღინიშნება TU-თი). ვინაიდან სტანდარტული პრეპარატი არ იხმარება, აქტივობის ზომად გამოიყენება ხსნარში გამოთავისუფლებული ტიროზინის მიკროგრამების რაოდენობა, დადგენილი სპექტროფოტომეტრულად ტიროზინის ექვივალენტის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრის პროცედურაში არ გამოიყენება სტანდარტული პრეპარატი, ამ უკანასკნელთ პერიოდულად ამოწმებენ მიღებული განსაზღვრების შედეგებს. ამასთან, ძალზე მკაცრად უდგებიან სუბსტრატის – ჰამერსტენის კაზეინის ერთგვაროვნების დაცვას, რაც გამოიხატება იმაში, რომ იხმარება მხოლოდ ერთი მწარმოებლის – Merck-ის რეაქტივი და, თანაც, ერთი პარტიისა.

პაპაინის პროტეოლიზური აქტივობის ჩვენს მიერ შემუშავებულ მეთოდში [14] აქტივობის ერთეულად (პე) მიჩნეულია ფერმენტის ისეთი მოქმედება, რომელსაც 1 წუთში, 40°C-ზე და pH 6,7 პირობებში სამქლორმმარმეავით დაულექავ მდგომარეობაში გადაჰყავს 1 მიკრომოლი ტიროზინის შესაბამისი კაზეინის რაოდენობა. ამასთან, განსაზღვრისათვის აღებული უნდა იყოს ფერმენტის ისეთი რაოდენობა, რომელიც აღნიშნულ პირობებში 10 წუთის განმავლობაში გამოათავისუფლებს ტიროზინის რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს სამქლორმმარმეავით დამუშავებული და გაფილტრული ჰიდროლიზატის ოპტიკურ სიმკვრივეს 280 ნმ-ზე 0,2-0,5-ის ფარგლებში.

ინდური TU-ს და აშშ-ს USPU-ს გადაანგარიშება ჩვენს პე-ებში შესაძლებელია, მაგრამ სამართლიანია ძალზე მიახლოებით, რადგან მეტად დიდია განსხვავება განსაზღვრის პირობებში.

კიდევ უფრო ძნელია ჩვენი ერთეულების (პე-ს) შედარება FIP U-სთან. როგორც ზემოთ ითქვა, პაპაიას ფერმენტების კომპლექსის (პფკ-ს) შემცველი პრეპარატ ლეკოზიმის აქტივობა ფასდება FIP-ერთეულებით. ლეკოზიმის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრამ ჩვენი მეთოდით [14] და მიღებული შედეგის შედარებამ ლეკოზიმის ეტიკეტზე მოყვანილ მის აქტივობასთან FIP-ერთეულებში გვიჩვენა შემდეგი თანაფარდობა  $1 \text{ FIPU} \approx 1,28 \text{ პე}$  ( $1 \text{ პე} = 0,78 \text{ FIPU}$ ). მაგრამ ამ შედეგის გამოყენება გადათვლებისათვის სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია.

ცნობილია, რომ პაპაინის პრეპარატები შეიცავენ პროტეაზების მოლეკულებს ორ, აღდგენილ (აქტიურ) და დაუანგულ (აქტივირებად) ფორმაში. აქტივირებადი მოლეკულების აღდგენა-აქტივირება შესაძლებელია რიგი აღმდგენელებით [21, 22]. ყველაზე ხშირად აღმდგენელად გამოიყენება ცისტეინი. როგორც წესი, აქტივობის განსაზღვრის წინ მიღებულია პაპაინის პრეპარატების წინასწარი აქტივირება ცისტეინის ხსნარში 10-15 წუთის განმავლობაში და ამგვარი პროცედურა შეტანილია ჩვენს მიერ შემუშავებულ მეთოდში [14]. USP და ინდური ფირმის მეთოდებში არ არის გათვალისწინებული პრეპარატის წინასწარი აქტივირება, ბუფერული ხსნარი, რომელშიც შეაქვთ ფერმენტული პრეპარატი, შეიცავს ცისტეინს, მაგრამ აქტივირებისათვის არ აძლევენ დროს, ფერმენტის ხსნარი მაშინვე შეაქვთ სუბსტრატის ხსნარში. ამასთან, ცისტეინის კონცენტრაცია სარეაქციო ნარევეში, ჩვენის აზრით, საკმაოდ დაბალია (0,005 მოლ/ლ). ჩვენი მეთოდით აქტივირება მიმდინარეობს ცისტეინის 0,08 მოლ/ლ კონცენტრაციისას, ხოლო კონცენტრაცია სარეაქციო არეში 0,04 მოლ/ლ-ია.

USP და ინდური მეთოდებით განსაზღვრის პროცედურა გრძელდება 1 საათის განმავლობაში, ჩვენს მიერ შემუშავებულ მეთოდში – 10 წუთი. ჩვენ ვთვლით, რომ რაც მეტია პროცედურის ხანგრძლივობა, მით მეტია ფერმენტის უანგვითი დენატურაციის საშიშროება ჰაერის უანგვადით, რადგან პაპაიას პროტეაზები სულფჰიდრილური ბუნებისაა და ადვილად დენატურირდებიან უანგვით. მართალია, სარეაქციო ხსნარში შეტანილია აღმდგენელი – ცისტეინი, მაგრამ მისი კონცენტრაცია, ჩვენი აზრით, აშშ-ში და ინდოეთში მიღებულ მეთოდებში საკმაოდ დაბალია (0,005 მოლ/ლ).

რა თქმა უნდა, განსაზღვრის პროცედურის ხანგრძლივობის გაზრდა ამცირებს შეცდომებს, გამოწვეულს ჩასატარებელი მანიპულაციების დროში არაზუსტად განხორციელების გამო, მაგრამ, თუ დროში გადახრა არ სცილდება 10-15 წამის ფარგლებს, შეცდომა არ აღემატება მთელი დროის (600 წამი) 2-3%-ს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ USP-ს მათოდით განსაზღვრისას სარეაქციო არის pH 6,0-ია, თუმცა ცნობილია, რომ pH-ოპტიმუმი ფერმენტების ამ კომპლექსის მოქმედებისა რამდენადმე უფრო მაღალია – 6,5-7,0 (ჩვენს მეთოდში – 6,7).

შესაძლებელია, USP-თი მიღებულ მეთოდს კიდევ ჰქონდეს ჩვენთვის უცნობი ნაკლი ან ხარვეზი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მთელს მსოფლიოში მედიცინაში და მრეწველობაში გამოყენებული პაპაინის (პაპაიას ფერმენტების კომპლექსის) უმეტესი წილი კონტროლდება სწორედ ამ მეთოდით, ან მასთან მიახლოებულით.

USP-ს მეთოდი შესასრულებლად ძნელია, ერთდროულად გამოიყენება 12 სინჯარა (ჩვენს მეთოდში მხოლოდ სამი) და ასეთი რაოდენობით ოპერირება უკვე

ადარ ძალუძს ერთ ადამიანს, საჭიროა ორი ან სამი ანალიტიკოსი. გაცილებით მეტია რეაქტივების ხარჯი, მაღალია, აგრეთვე, სტანდარტული პაპაინის ფასიც.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის სხვა მეთოდზეც, როცა შეუძლებელია 280 ნმ-ზე სპექტროფოტომეტრირება სამკურნალო კომპოზიციებში ისეთი კომპონენტების არსებობის გამო, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი ექსტინქცია სპექტრის ამ უბანში. ამგვარი მეთოდი იყენებს სუბსტრატად ტყაეის ფხვნილს, შეღებილს რემაზოლ-ბრილიანტ-ცისფერით (Remazol Brilliant Blue, яркоголубой 2КТ) [23].

მეთოდი უფრო მგრძობიარეა, ვიდრე ზემოთაღწერილები, მაგრამ მოითხოვს შეღებილი სუბსტრატის ყოველი პარტიისათვის შესაბამისობის კოეფიციენტის დადგენას, რასაც ესაჭიროება პროტეოლიზური აქტივობის პარალელური განსაზღვრებების სერიის ჩატარება პაპაინს ფერმენტების კომპლექსის პრეპარატზე.

ცხადია, ნებისმიერ შემთხვევაში მეთოდი, რომელიც იყენებს სუბსტრატად კაზეინს (USP-ის [18, 20], ან ჩვენი [14]) უნდა გამოიყენებოდეს სხვა მეთოდების სტანდარტიზაციისათვის.

### ლიტერატურა

1. A.Wurtz, R. Bouchut. – Compt.Rond. Acad. Sci. (Paris)1979, 89, 425-427.
2. G. Reed. Enzymes in food processing.Acad. Press, 1966, N.-Y.-London.
3. K.Gizuka, T. Ashima, J.Food Agric. 2000, 80, 1413-1422.
4. F.X. Jin,K.Todo. Biotechnol. Lett. 1988, 10, 221-228.
5. J. W. Simmons, E.J. Nordby, A.G. Hadjipavlov. Eur. Spine. J. 2001, 10, 192-199.
6. J. Leipner, R. Saller. Drugs, 2000, 59, 769-778.
7. A.K. Balls, H. Lineweaver, R.R. Thompson. Science, 1937, 86, 379-392.
8. A.Balls, H. Lineweaver. J. Biol. Chem. 1939, 130, 669-675.
9. G. Lowe. Tetrahedron. 1976, 32, 3, 291-302.
10. M. Azarkan, A. El-Moussaoui, D. Van Wuytswinkel, G. Dehon, Y. Looze. Journal of Chromatography B, 2003, 790, 229-238.
11. Симпозиум: «Применение протеолитич. энзимов *Carica Papaya* в широкой медицинской практике», Москва, 18-19 июля 1978 г.
12. В.И. Россинский. Возделывание дынного дерева на гагрском опорном пункте ГБС АН СССР, Бюллетень Главного Ботанического сада 1984, 132, 37-40.
13. გ. აბულაძე, გ. ერქომაიშვილი, ლ. ვადაჭკორია, ლ. ნადირაშვილი, დ. ჭანტურია, კ. მულკიჯანიანი, ჟ. ნოეიკოვა. Georgia Chemical Journal 2005 , 5(3), 283-285.
14. გ. ერქომაიშვილი, დ. ჭანტურია, ლ. ვადაჭკორია, ლ. ნადირაშვილი. საქართველოს მცენარ. და მინერალური წარმოშობის ბოილ. აქტ. ნივთიერებების შესწავლა. სამეცნ. შრომათა კრებული, 2009, 1(17), 115-122.
15. Federacion Internationale Pharmaceutique. Scientifivc Section. International Comission for the Standartization of Pharmaceutical Enzymes. First Report. J. Mondial Pharm. 1965, 1, 5-32,
16. Е.Д. Каверзнева. Прикл. биохим. и микробиол. 1971, 7, 2, 225-228.
17. В.Л. Кретович. Введение в энзимологию. М., «Наука», 1986.
18. E.A. Lazo-Wasem. J. Pharm. Sci. 1966, 55, 7, 723-725.
19. R.Ruyssen, A. Lauwers. J. de Pharmacie de Belgique, 1967, 22, 11-12, 416-424.
20. Th. Cayle. Jjurnal of Association of Official Analytical Chemistry, 1971, 54, 4, 978-980.
21. A. N. Glazer, E.L. Smith. J. Biol. Chem. 1965, 240, 1, 201-208.
22. L.A. Sluyterman. Biochim. Biophys-Acta, 1967, 139, 2, 430-441.
23. Г.С. Еркоманшвили, Л.В. Вадачкория, Л.А. Надирашвили, Д.Г. Чантурия. Georgia Chemical Journal, 2004, 4 (3), 265-269.

## რეზიუმე

მოსაზრებები პაპაიას ფერმენტების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის ერთეულებისა და განსაზღვრის მეთოდების შესახებ  
*გ. ერქომაიშვილი*

გამოთქმულია მოსაზრებები პაპაიას ფერმენტების კომპლექსის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის ამჟამად მიღებული მეთოდების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე, ამ აქტივობის გამოხატვის არსებულ ერთეულებზე და, აგრეთვე – იმ აქტივობების ურთიერთგადათვლის შესახებ, რომლებიც გამოხატულია განსხვავებულ ერთეულებში.

## SUMMARY

### CONSIDERATION ON THE UNITS AND METHODS OF DETERMINING THE PROTEOLYTIC ACTIVITY OF THE COMPLEX ENZYMES OF PAPAYA

*G. Erkomaishvili*

Rationale about the merits and drawbacks of the currently accepted methods for determining the proteolytic activity of the complex papaya enzymes, the existing units of the expression of this activity, as well as the possibility of mutual conversion activity expressed in different units is considered.

## РЕЗЮМЕ

### СООБРАЖЕНИЯ О ЕДИНИЦАХ И МЕТОДАХ ОПРЕДЕЛЕНИЯ ПРОТЕОЛИТИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ КОМПЛЕКСА ФЕРМЕНТОВ ПАПАЙИ

*Г.С. Еркомаишвили*

Высказаны соображения о достоинствах и недостатках принятых в настоящее время методов определения протеолитической активности комплекса ферментов папайи, о существующих единицах выражения этой активности, а также – о возможности взаимного пересчета активностей, выраженных в различных единицах.

# პაპიას პროტეაზების კომპლექსის აქტივობის განსაზღვრის მეთოდის ოპტიმალური პირობების დადგენა

დ. ჭანტურია, ლ. ვადაჭკორია, ლ. ნადირაშვილი, გ. ერქომაიშვილი

## შესავალი

სამკურნალო საშუალება კარიპაზიმი შემუშავებული იყო და იწარმოება იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში 1987 წლიდან, გამოიყენებოდა სსრკ-ში და დღემდე იხმარება დსთ-ს ქვეყნებში. კარიპაზიმი მოწოდებულია დამწვრობითი და ჩირქოვანი იარების მკურნალობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰპოვა ელექტროფორეზის მეშვეობით ისეთი დაავადებების მკურნალობისათვის, როგორებიცაა თავის ქალა-ტვინის და სპინალური ტრავმები, ანთებითი და დეგენერაციული პროცესები ხერხემალში და მის შემაკავშირებელ აპარატში და ისეთი პათოლოგიებისა, რომლებიც დაკავშირებულია თავისა და ზურგის ტვინის, პერიფერიული ნერვებისა და მათი ფესვების გარსებში ნაწიბურ-შეხორცებით პროცესებთან [1].

ჯერ კიდევ ათეული წლების წინ, როცა ფარმაციის საერთაშორისო ფედერაციაში (FIP) იხილებოდა მედიცინაში გამოყენებადი პროტეოლიზური ფერმენტების სტანდარტიზაციის საკითხები, მაშინვე ხაზგასმული იყო, რომ შეუძლებელია შეიქმნას აქტივობის განსაზღვრის უნიფიცირებული მეთოდი ყველა პროტეაზისათვის, რომ თითოეული მათგანი, განსაკუთრებით კი კომპლექსური პრეპარატები აქტივობის განსაზღვრისას მოითხოვენ სპეციფიკურ, მხოლოდ მათთვის საჭირო პირობებს, როგორებიცაა: ფერმენტული მოქმედების ოპტიმალური pH, სუბსტრატის ოპტიმალური კონცენტრაცია (რომელიც უზრუნველყოფს ფერმენტის მოლეკულის გაჯერებას სუბსტრატით), ფერმენტული პრეპარატისა და მისი აქტივატორის კონცენტრაციები, ზოგიერთ მეტალთა იონების დაუშვებლობა, ან პირიქით, აუცილებლობა, პროტეოლიზის ხანგრძლივობა, ტემპერატურა. ამრიგად, შერჩეული უნდა იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროტეოლიზის რეაქციის ნულოვან ხარისხს განსაზღვრისათვის აღებულ დროის მონაკვეთში [2, 3, 4].

## მასალები

პაპიას უმწიფარი ნაყოფების გამშრალი რძეწვენი, მიღებული სსრკ მეცნ. აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის გაგრის საყრდენი პუნქტიდან.

პამერსტენის კაზეინი TV 6-09-3574-82

L-ცისტეინი ΦC 42-1048-76

დანარჩენი რეაქტივები – ანალიზური სისუფთავის კვალიფიკაციისა.

## მეთოდები

**პაპ-ს პროტეოლიზური მოქმედების pH-ოპტიმუმი.** უნივერსალური ბუფერის [5] მეშვეობით დამზადდა კაზეინის 2%-იანი ხსნარები შემდეგი pH-ებით: 4,5; 5,0; 6,0; 6,5; 7,0; 8,0; 9,0; 10,0. ფერმენტის გამააქტივებელი ხსნარები (0,1 მოლ/ლ ცისტეინი, 0,01 მოლ/ლ ტრილონ-ბ) მზადდებოდა უნივერსალურ ბუფერზე შესაბამისი pH-ით. ფერმენტის 0,2 მგ/მლ კონცენტრაციის მქონე ხსნარის 2-2 მლ ალიქვოტებს ემატებოდა შესაბამისი pH-ის მქონე 8-8 მლ გამააქტივებელი ხსნარები, ხოლო 10

წუთის შემდეგ ამ ნარევის 2 მლ-ს ემატებოდა შესაბამისი pH-ის მქონე კაზეინის 2 მლ, წინასწარ გამთბარს 40°C-ზე. ზუსტად 10 წუთის შემდეგ საინკუბაციო ნარევის ემატებოდა 4 მლ 5%-იანი სამქლორჰმარმჟავას ხსნარი, ინტენსიური მორევის შემდეგ მასა ყოვნდებოდა 20 წუთი 40°C-ზე, იფილტრებოდა ქაღალდის ფილტრში და ისაზღვრებოდა ფილტრატის ოპტიკური სიმკვრივე 280 ნმ-ზე საკონტროლო ნიმუშების მიმართ. საკონტროლო ნიმუშები მზადდებოდა შემდეგნაირად: შესაბამისი pH-ის მქონე 2 მლ პპკ-ს გააქტივებულ ხსნარს, წინასწარ გამთბარს 40°C-ზე, ემატებოდა 4 მლ 5%-იანი სამქლორჰმარმჟავას ხსნარი, ხოლო 10 წუთის შემდეგ 2 მლ შესაბამისი pH-ის მქონე კაზეინის ხსნარი. ინტენსიური მორევის შემდეგ მასა ყოვნდებოდა 20 წუთი 40°C-ზე და იფილტრებოდა ქაღალდის ფილტრში.

კაზეინის კონცენტრაციის გავლენა პპკ-ს აქტივობაზე. აქტივობაზე სუბსტრატის კონცენტრაციის გავლენის შესწავლისათვის დამზადდა სხვადასხვა კონცენტრაციის კაზეინის სუბსტრატის ხსნარები: 0,5%; 1,0%; 1,5%; 2,0%; 2,5%. ყველა ხსნარი დამზადდა 1/15 მოლარულ ფოსფატურ ბუფერზე pH 6,7-ზე. პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრა მოხდა ზემოთ აღწერილი მეთოდიკით (საკონტროლო ნიმუშები მზადდებოდა შესაბამისი კონცენტრაციის კაზეინის ხსნარების გამოყენებით).

კაზეინის ლიზისის სიჩქარის დამოკიდებულება პპკ-ს კონცენტრაციაზე. კაზეინის ლიზისის სიჩქარის დასადგენად დამზადდა პპკ-ს სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები: 0,006; 0,012; 0,02; 0,03; 0,04; 0,06; 0,08 მგ/მლ. პპკ-ს თითოეული ნიმუშის აქტივობის განსაზღვრისას დანარჩენი პარამეტრები დარჩა იგივე. პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრა მოხდა ზემოთ აღწერილი მეთოდიკით.

ციისტეინის კონცენტრაციის გავლენა პპკ-ს აქტივობაზე. აქტივობაზე ცისტეინის კონცენტრაციის შესწავლისათვის დამზადდა ცისტეინის სხვადასხვა კონცენტრაციის (0,005M; 0,01M; 0,03M; 0,07M; 0,1M; 0,12M) გამააქტივებელი ხსნარები და დაემატა პრეპარატის არააქტივირებულ ხსნარს იმ ანგარიშით, რომ პპკ-ს კონცენტრაცია თითოეულ ნიმუშში ყოფილიყო 0,04 მგ/მლ-ის ტოლი. თითოეული ნიმუშის აქტივობის განსაზღვრისას დანარჩენი პარამეტრები დარჩა იგივე. პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრა მოხდა ზემოთ აღწერილი მეთოდიკით.

ჰიდროლიზის დროის გავლენა პპკ-ს პროტეოლიზურ აქტივობაზე. ჰიდროლიზი დროის დასადგენად განისაზღვრა პროტეოლიზური აქტივობა ზემოთ აღნიშნული მეთოდიკით 2, 6, 8, 10, 12, 16 და 20 წუთის შემდეგ. თითოეული ნიმუშის აქტივობის განსაზღვრისას დანარჩენი პარამეტრები დარჩა იგივე.

პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. აქტივობაზე ტემპერატურის გავლენის დასადგენად პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობა განისაზღვრა შემდეგ ტემპერატურაზე: 20°C, 40°C, 50°C, 55°C, 60°C, 70°C, 80°C ზემოთ აღწერილი მეთოდიკით. თითოეული ნიმუშის აქტივობის განსაზღვრისას დანარჩენი პარამეტრები დარჩა იგივე.


ზოგიერთი მეტალის იონების გავლენა პპკ-ს პროტეოლიზურ აქტივობაზე. პროტეოლიზურ აქტივობაზე მეტალის იონების გავლენის დასადგენად დამზადდა მეტალის იონების შემცველი პპკ-ს ხსნარები. საანალიზო ხსნარში მეტალის

იონების კონცენტრაცია მოცემულია ცხრილში 1. პროტეოლიზური აქტივობა განისაზღვრა ზემოთ აღწერილი მეთოდით, ოღონდ პპკ-ს გააქტივების გარეშე, რადგანაც ცისტეინი და ტრილონ ბ ამცირებენ მეტალის იონების გავლენის ეფექტურობას.

**შედეგები**


წინამდებარე სტატიის მიზანი იყო დაგვედგინა პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის ოპტიმალური პირობები.

შედეგები მოცემულია სურათებზე:




სურ. 1. პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის დამოკიდებულება pH-ზე.

აღმოჩნდა, რომ პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის pH-ოპტიმუმი მდებარეობს 6,5-7,0-ის ფარგლებში.



სურ. 2. კაზეინის კონცენტრაციის გავლენა პპკ-ს აქტივობაზე.


შედეგმა გვიჩვენა, რომ პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრისას 2%-იანი კაზეინი მთლიანად უზრუნველყოფს სუბსტრატის სიჭარბეს.



სურ. 3. კაზეინის ლიზისის სიჭარბის დამოკიდებულება პპკ-ს კონცენტრაციაზე.




პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ სუბსტრატის ლიზისის სიჩქარე პირდაპირპროპორციულია პპკ-ს კონცენტრაციისა 0,05-დან 0,25 პე/მლ-ის ფარგლებში, რაც შეესაბამება ოპტიკურ სიმკვრივეს 280 ნმ-ზე 0,1-დან 0,7-მდე.



სურ. 4. ცისტეინის კონცენტრაციის გავლენა პპკ-ს აქტივობაზე.


აღმოჩნდა, რომ ოპტიკური სიმკვრივე აღწევს მაქსიმუმს საწყის გააქტივებულ ხსნარში 0,07 მოლ/ლ ცისტეინის კონცენტრაციის შემთხვევაში.

ამრიგად, პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში მიღებული ცისტეინის კონცენტრაცია 0,1 მოლ/ლ ნამდვილად უზრუნველყოფს პპკ-ს აქტივაციას 10 წუთის განმავლობაში.



სურ. 5. ჰიდროლიზის დროის გავლენა პპკ-ს პროტეოლიზურ აქტივობაზე.

აღმოჩნდა, რომ სუბსტრატის ლიზისის სიჩქარე რჩება მუდმივი 20 წუთის განმავლობაში.



სურ. 6. პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

დადგინდა, რომ პროტეოლიზური აქტივობის ტემპერატურული ოპტიმუმი მდებარეობს 55-60°C-ის ფარგლებში. ეს შედეგი მოწმობს, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული ტემპერატურა (40°C) საკმაოდ შორსაა ინაქტივირების უბნისაგან (60°C-ზე ზემოთ).

**ცხრილი 1.**

პკ-ს პროტეოლიზურ აქტივობაზე მეტალის იონების გავლენის შესწავლის შედეგები.

გამოყენებული მარილები	მეტალის იონების კონცენტრაცია საანალიზო ხსნარში	პროტეოლიზური აქტივობა %-ში
საკონტროლო ხსნარი	-	100
ნატრიუმის ქლორიდი	0,01M	100
კალციუმის აცეტატი	0,01M	115
სპილენძის სულფატი	0,01M	0
თუთიის აცეტატი	0,01M	0
ალუმინის ნიტრატი	0,01M	0
ვერცხლის ნიტრატი	0,01M	0
კობალტის ნიტრატი	0,01M	20
ტყვიის აცეტატი (ფუძე)	0,01M	20

მოცემული შედეგებიდან ჩანს, რომ ნატრიუმის იონები პრაქტიკულად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენენ პროტეოლიზურ აქტივობაზე, მაშინ როცა სპილენძის, თუთიის, ალუმინისა და ვერცხლის იონები იწვევენ სრულ ინჰიბირებას, ხოლო კობალტის და ტყვიის იონები – მხოლოდ 80%-ით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კალციუმის იონები იწვევენ გარკვეულწილად პრეპარატის გააქტივირებას.

**ლიტერატურა**

1. В.Л Найдин , Ю.Г, Бобков П.Е. Юрмцев. რუსეთის პატენტი RU 2141 359, 20.11.1999.
2. Federation Internationale Pharmaceutique. Internacional Comission for the Standartization of pharmaceutical Enzymes. First Report. J. Mondial Pharm 2004, 1, 5-32.
3. R.Ruyssen, A.Lauwers. The assay of pharmaceutical proteinases. J. Pharmacie de Belgique, 1967, 22 (11-12), 416-424.
4. В. Н. Himelbloom, Н. Hassan J. Microbiological Methods, 1985, 4, 49-66.
5. Ю.Ю Лурье. Справочник по аналитической химии. М.: Химия, 1971, 441.

## რეზიუმე

### პაპაიას პროტეაზების კომპლექსის აქტივობის განსაზღვრის მეთოდის ოპტიმალური პირობების დადგენა

დ. ჭანტურია, ლ. ვადაჭკორია, ლ. ნადირაშვილი, გ. ერქომაიშვილი

დადგენილია პაპაიას პროტეაზების კომპლექსის (პპკ) პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის ოპტიმალური პირობები. შესწავლილია პროტეოლიზური აქტივობის pH-ოპტიმუმი, პპკ-ს პროტეოლიზური აქტივობის დამოკიდებულება კაზეინის და ცისტეინის კონცენტრაციებზე, ჰიდროლიზის დროზე, კაზეინის ლიზისის სიჩქარის დამოკიდებულება პპკ-ს კონცენტრაციაზე. დადგენილია პპკ-ს პროტეოლიზური მოქმედების ტემპერატურული ოპტიმუმი, შესწავლილია ზოგიერთი მეტალის იონის გავლენა პპკ-ს პროტეოლიზურ აქტივობაზე.

## SUMMARY

### ESTABLISHMENT OF OPTIMAL CONDITIONS FOR THE DETERMINATION OF THE PROTEOLYTIC ACTIVITY OF PAPAYA PROTEINASE COMPLEX

*Chanturia DG, Vadachkoria LV, Nadirashvili LA, Erkomaishvili GS*

Optimal conditions for the determination of papaya proteinase complex (CPP) proteolytic activity have been established. pH optimum of proteolytic activity of CPP, the influence of the concentration of the checkpoint at the rate of lysis of casein, the influence of the concentration of casein and cysteine, the time of hydrolysis on the proteolytic activity of CPP, set the temperature optimum of proteolytic action of CPP were studied as well as the influence of some ions on the proteolytic activity of CPP.

## РЕЗЮМЕ

### УСТАНОВЛЕНИЕ ОПТИМАЛЬНЫХ УСЛОВИЙ ОПРЕДЕЛЕНИЯ ПРОТЕОЛИТИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ КОМПЛЕКСА ПРОТЕИНАЗ ПАПАЙИ

*Чантурия Д.Г., Вадачкория Л.В., Надирашвили Л.А., Еркомашивили Г.С.*

Установлены оптимальные условия определения протеолитической активности комплекса протеиназ папайи (КПП). Изучены: pH-оптимум протеолитической активности КПП, влияние концентрации КПП на скорость лизиса казеина, влияния концентрации казеина и цистеина, времени гидролиза на протеолитическую активность КПП, установлены температурный оптимум протеолитического действия КПП. Изучены влияния некоторых ионов на протеолитическую активность КПП.


**ბიოშეთავსებადი და ბიოდებრადირებადი პოლიესთერამიდის  
დებრადაცია პაპაიას ფერმენტების კოვალენტის წყალხსნარში**

*ლ. ვადაჭკორია, გ. ერქომაიშვილი*

თანამედროვე ფარმაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პრინციპულად ახალ სამკურნალწამლო ფორმათა ძიება. უახლეს წამალთა ფორმებს განეკუთვნება კონტროლირებადი გამოყოფი სისტემები, რომლებიც იძლევა საშუალებას განუწყვეტილ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიეწოდოს ორგანიზმს, ან დაზიანებულ ორგანოს სამკურნალო სუბსტანცია იმ დოზებით, რაც სასურველია მკურნალობისათვის. ზემოთნახსენები გამოყოფი სისტემათაგანია ჭრილობის საფარი მასალა წამლის კონტროლირებადი გამოყოფით, სადაც საფარ მასალას წარმოადგენს ბიოშეთავსებადი და ბიოდებრადირებადი პოლიმერული მატრიქსი.

ამგვარი ფორმა უთუოდ საინტერესო უნდა იყოს პაპაიას ფერმენტების კომპლექსისათვის, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა როგორც ნეკროლიზურმა და ანთების საწინააღმდეგო საშუალებამ ჩირქოვანი და დამწვრობითი იარების მკურნალობისას [1 - 5].

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერებისა და ბიომასალების კვლევის ცენტრში (ხელმძღვანელი პროფ. რ. ქაცარავა) სინთეზირებულია რიგი ბიოშეთავსებადი და ბიოდებრადირებადი პოლიამიდოესთერებისა ჰიდროფობული ამინომჟავების, ალიფატური დიკარბონმჟავებისა და დიოლების პოლიკონდენსაციის მეშვეობით. ერთ-ერთი მათგანია L-ფენილალანინის, ადიპინის მჟავისა და ბუტან-1,4-დიოლისაგან მიღებული (4-Phe-4):



მოყვანილი სტრუქტურა უკვე იძლევა საფუძველს მტკიცებისა, რომ პოლიმერი ადვილად უნდა ჰიდროლიზდებოდეს ორგანიზმის ქსოვილებში არსებული ესთერაზების მიერ. ეს მოსაზრება ექსპერიმენტულად იქნა დადასტურებული ჯერ დაბალმოლეკულურ, წყალში ხსნად მოდელურ ანალოგებზე α-ქიმოტრიფსინის ზემოქმედებით, ხოლო შემდგომ - თვით წყალში უხსნადი პოლიმერის ფირებზე. ამასთან, დადგენილ იქნა პოლიესთერამიდების სტრუქტურულ თავისებურებათა გავლენა ჰიდროლიზის სიჩქარეზე [6,7].

პაპაიას პროტეაზები, როგორც მცენარეული წერმურების სულფჰიდრილური ფერმენტები, თვისობრივად განსხვავდებიან α-ქიმოტრიფსინისგან (სერინული პროტეაზებისგან) და მათი შეთავსებადობის შესწავლა ამ ბიოდებრადირებად პოლიმერებთან რამდენიმე თვალსაზრისით იყო საინტერესო. დასადგენი იყო

რამდენად რეალურად შეძლებენ პაპიას პროტეაზები პოლიესთერამიდის (4-Phe-4) ჰიდროლიზს და რამდენად გამოდგება პოლიესთერამიდი როგორც მაკონტროლებელი გამომყოფი მატრიქსი თვით ამ ფერმენტების კომპლექსისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, ეფექტურად გამოიყენება დამწვრობითი იარების, ჩირქოვანი წყლულებისა და ჭრილობების სამკურნალოდ.

რეაქტივები და მასალები:

1. კარიპაზიმი, აქტივობა 3,5 პე/მგ; ფ.ს. N რს-529-0410
2. ცისტეინი - Sigma
3. ტრილონი ბ - "ქ.ს.", სახ. სტ. 10652 - 73
4. პოლიესთერამიდი (4 - Phe - 4) , მოლ. მასა 40-60 kDa, მოწოდებული საქართველოს ტექნ. უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერებისა და ბიომასალების კვლევის ცენტრის მიერ
5. შეღებილი ტყავის ფხენილი [8]
6. ფოსფატის ბუფერი, 0,067 მოლ/ლ, pH 7,0

მეთოდები

პროტეოლიზური აქტივობა ისაზღვრებოდა შეღებილი ტყავის ფხენილის სუბსტრატად გამოყენების მეთოდით [8].

პოლიესთერამიდის ფირის დამზადება

პოლიესთერამიდს გულმოდგინედ აწვრილმანებენ ფაიფურის როდინში, 1.0 გ ფხენილი გადააქვთ 50 მლ ტევადობის საცობიან ცილინდრში, ამატებენ 10 მლ გასუფთავებულ ქლოროფორმს, ახურავენ საცობს და ტოვებენ შემდეგ დღემდე. მეორე დღეს საცობმოხდილ ცილინდრს მოკლე ხნით დგამენ მღულარე წყალში. წარმოიქმნება ვიზუალურად ერთგვაროვანი ხსნარი, რომელსაც გაცივების შემდეგ, კაპრონის ბადეში (ნახვრეტების ზომა 1x1მმ.) გატარებით პირდაპირ ასხამენ წინასწარ აწონილ პეტრის ჯამზე, რომელიც დადგმულია თარაზოთი შემოწმებულ პორიზონტალურ ზედაპირზე. პეტრის ფინჯანს აფარებენ გადმობრუნებულ მინის ძაბრს, რომლის მიღში მოთავსებულია ბამბის ქულა, ქლოროფორმს აძლევენ ავისუფლად აორთქლების საშუალებას, რასაც, ოთახის ტემპერატურისას (20 - 25C) სჭირდება რამდენიმე საათი. ქლოროფორმის აორთქლების შემდეგ წარმოქმნილ ფირს 2 - 3 საათის განმავლობაში აშრობენ ვაკუუმექსიკატორში

მიღებული ფირის სისქე 0,055 მმ-ია, სიმკვრივე - 1,124 გ/მლ

ფერმენტის ხსნარის მომზადება

0,5 გ კარიპაზიმს ათავსებენ 500 მლ-იან გამზომ კოლბაში, ამატებენ 250 მლ ფოსფატის ბუფერს, 6,05 გ ცისტეინს, 1,85 გ ტრილონ-ბ - ს და მათი გახსნის შემდეგ მოცულობა მიჰყავთ ნიშნულამდე იმავე ბუფერით. ხსნარს აყოვნებენ 15 წუთი ოთახის ტემპერატურისას, ხოლო შემდეგ ინახავენ მაცივარში +2C-ისას. ფერმენტის პრეპარატის კონცენტრაციაა 2 მგ/მლ, ხოლო აქტივობის კონცენტრაცია - 3,5 პე/მლ.

პოლიესთერამიდის ფირის დეგრადაცია პაპიას ფერმენტის კომპლექსის ხსნარში

70 - 95 მგ მასის მქონე (ზუსტი წონა) პოლიესთერამიდის ფირის ნატრებს ათავსებენ ცალკ - ცალკე 4 ბიუქსში, პირველ ბიუქსში შეაქვთ 10 მლ წყალი (საკონტროლო ცდა), ხოლო დანარჩენ სამში 10 - 10 მლ ფერმენტის ხსნარი.

ბიუქსებს ათავსებენ თერმოსტატში 37C –სას. პროცესის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ ფირები ამოაქვთ ხსნარებიდან, ავლებენ გამოხდილ წყალს, გულმოდგინედ აშრობენ ფილტრის ქაღალდით და საზღვრავენ მასას. ამის შემდეგ ფირებს ათავსებენ იმდაგვარივე შედგენილობის ახალ ხსნარში (10 – 10მლ) და კვლავ დგამენ თერმოსტატში. შემდგომი აწონვა და ხსნარების გამოცვლა ხდებოდა ყოველ 24 საათში.

### შედეგები და დასკვნები

პოლიესთერამიდის ფირის ნაჭრების მასების ცვლილებები მოყვანილია ცხრილში. იქვეა მოყვანილი საკონტროლო ცდის შედეგებიც. გაირკვა, რომ პოლიმერი განიცდის ჰიდროლიზს წყალში და მისი ფირის მასა 96 საათის შემდეგ შემცირდა 4% -ით, ხოლო ფერმენტის ხსნარში 58,9% -ით (საშუალო სამი პარალელური ცდიდან), მიღებული შედეგები ცხადყოფენ, რომ ეს პოლიესთერამიდი (4-Phe-4) ფაქტიურად წარმოადგენს პაპაიას პროტეაზების კომპლექსის სუბსტრატს და მისი გამოყენება ამ ფერმენტული პრეპარატის მატარებლად დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი გამოუსადეგარია ამ ფერმენტის მატარებლად. აღსანიშნავია, რომ ფირში შეტანილი ფერმენტი ვერ გაამჟღავნებს თავის კატალიზურ მოქმედებას, სანამ არ მოხდება წყლის ფაზაში, ხოლო ეს კი დამოკიდებულია ფირის სისქეზე და პოლიმერის ჰიდროლიზის სიჩქარეზე წყალში. ფერმენტის წყლის ფაზაში გადმოსვლისთანავე პოლიმერის ჰიდროლიზის სიჩქარე მკვეთრად მოიმატებს. ორ და სამფენოვანი ფირების გამოყენებისას შესაძლებელია სხვა სამკურნალო ნივთიერებების პოლიმერული მატრიქსიდან რეზორბციის სიჩქარის რეგულირება.

	ფირების მასები მილიგრამებში და პროცენტი საწყისიდან					
	საწყისი	2 სთ	24 სთ	48 სთ	72 სთ	96 სთ
კონტროლი	75,2 100%	75,3 100%	74,7 98,9%	74 98,4%	73,3 97,3%	72,2 95,9%
N 1	95,4 100%	91,0 95,4%	78,0 78,0%	59,7 62,6%	47,4 49,7%	39,7 41,6%
N 2	88,4 100%	85,0 96,1%	71,4 80,8%	60,3 68,2%	52,9 59,8%	44,1 49,9%
N3	68,5 100%	65,1 95,5%	52,3 76,3%	42,2 61,6%	30,5 44,5%	21,8 31,8%
საშუალო	100%	95,5%	78,4%	64,1%	51,3%	41,1%

### **ლიტერატურა**

1. C.M. Carillo . M.H, Tanaka . et al. J.Dent. Child (Chic), 2008, 75, 3, 222 – 228.
2. J.Beuth . , Jntegr. Cancer. Ther. 2008, 7, 4, 311 – 316.
3. J. Ramundo J. Wound Ostomy continence Nurs, 2000, 35, 3, 273-280.
4. S.K Bussadori , C.C Gnedes . et al. J.Clin. Pediatr. Dent. 2008, 32, 3. 177-180.

5. C.C. Grabovac , T Schmitz . et al. Pharm.Res. 2007, 24, 5, 1001-1006.
6. T. Arabuli , G. Tsitlanadze, L. Edilashvili L. Kharadze D., Gogvadze T., Beridze V., Gomurashvili Z., Katsarava R. Macromol. Chem. phys., 1994, 195, 2279 – 2289.
7. R.Katsarava , V.Beridze , N.Abuli , D Kharadze ., Chu C.C., Won C.Y. Journal of polymer Science: Part A., Polymer Chemistry, 1999 37, 391-407.
8. Г.С Еркомаишвили , Л. В Вадачкория ,Л. А, Надирашвили , Д.Г Чантурия . Georgia Chemical Jour. 2004, 4, 3, 262-269 .

## რეზიუმე

**ბიოშეთავსებადი და ბიოდეგრადირებადი პოლიესთერამიდის დეგრადაცია პაპაიას ფერმენტების კომპლექსის წყალხსნარში**  
*ლ. ვადაჭკორია, გ. ერქომაიშვილი*

შესწავლილია ბიოშეთავსებადი და ბიოდეგრადირებადი პოლიმერის – პოლიესთერამიდის დეგრადაცია პაპაიას ფერმენტების კომპლექსის წყალხსნარში. ნაჩვენებია, რომ ეს პოლიმერი, ფაქტიურად, წარმოადგენს პაპაიას პროტეაზების სუბსტრატს.

## SUMMARY

**DEGRADATION OF BIOAVAILABLE AND BIODEGRADABLE POLYESTERAMIDE IN AQUEOUS SOLUTION OF PAPAYA ENZYMES' COMPLEX**  
*L. Vadachkoria, G. Erkomaishvili*

Degradation of bioavailable and biodegradable polyesteramide in aqueous solution of papaya enzymes' complex has been studied. It was established, that aforesaid polymer represents a substrate for papaya proteases.

## РЕЗЮМЕ

**ДЕГРАДАЦИЯ БИОСОВМЕСТИМОГО И БИОДЕГРАДИРУЕМОГО ПОЛИМЕРА - ПОЛИЭСТЕРАМИДА В ВОДНОМ РАСТВОРЕ КОМПЛЕКСА ФЕРМЕНТОВ ПАПАЙИ**  
*Л. Вадачкория, Г. Еркомаишвили*

Исследована деградация биосовместимого и биodeградируемого полимера - полиэстерамида в водном растворе комплекса ферментов папайи. показано, что этот полимер, фактически является субстратом протеаз папайи.